



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 20
22/08/2017

20-03-4-201708221203



დადგენილება №20

21 აგვისტო 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის
პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებული პირების
თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“, 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლების და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :


მუხლი 1. განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის N39 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 20/11/2014, 010250000.35.171.016039).

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა